ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

განკარგულება:**გ-15. 15240864**

თარიღი:**26/03/2024**

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქალაქ ბათუმში, რურუას ქუჩა №1-ის და №1ა-ს მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 დეკემბრის №გ-15.15233536 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. ,,ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ. ბათუმში, რურუას ქუჩა №1-ის და №1ა-ს მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 დეკემბრის №გ-15.15233536 განკარგულებაში შევიდეს ცვლილება და განკარგულების მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) პოზიტიური პირობით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 93-ე მუხლი) - უნდა მოხდეს უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემული მიწის ნაკვეთების (ს/კ №05.25.10.075 და ს/კ №05.25.10.068) ,,ბათუმი ავარიული სახლების გარეშე“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში შპს ,,ტექტო ფრანკო 1“-ისათვის (ს/ნ №445571257) პირდაპირი განკარგვის წესით საკუთრებაში გადაცემა იმ პირობით, რომ სსიპ ,,ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ №008908523 და №008908823 დასკვნების თანახმად, მიწის ნაკვეთების საბაზრო ღირებულება - 637,0 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს.კ. №05.25.10.068) 400 359,0 (ოთხასი ათას სამასორმოცდაცხრამეტი) ლარი და 334,0 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს.კ. №05.25.10.075) 209 922,0 (ორასცხრა ათას ცხრაასოცდაორი ლარი, სულ 610281,0 (ექვსას ათი ათას ორას ოთხმოცდაერთი) ლარი შპს ,,ტექტო ფრანკო 1“-ის მიერ ჩაირიცხება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 2024 წლის 31 დეკემბრამდე. ასევე, კომპანია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ 841,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს.კ.№05.25.10.074) განახორციელებს მოსასვენებელი სივრცის (სკვერის) მოწყობას.“.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რამაზ ჯინჭარაძე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი